№ 264 დეკემბერი 12, ხუთშაბათი 1891 დეკემბერი 12, ხუთშაბათი № 264

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

„ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

(მესამე წელიწადი)

გამოვა 1892 წელსაც, ორთთვეში ერთხელ, იმავე პროგრამმით, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში Красногорская ул. д. Назарова № 7.)
2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.
3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.
4) ბათუმში მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.
5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი—წერეთლისა.

ექიმი გმელიევი

ნახულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 4—5 საათზე. კუკიაში, რეუტოვის ქუჩა, სახლი № 8.

(12—2)

ახალი ამბავი

*** ამას წინად ძეხვის ჭამით მოიწამლა ერთი ოჯახობა. ტფილისის მოქალაქეს მიხეილ ს—ნს იარმუკაზედ კალბასი ეყიდნა, ეჭამათ და მთელი ოჯახი: თითონ, დედა, ცოლი და ორი ყმაწვილი ავად გახდა. ექიმს მიჰმართეს და იმათის ავად გახდომის მიზეზი სტრიხნინი აღმოჩნდა. ავადმყოფები-კი გადარჩნენ სიკვდილს, მაგრამ მაინც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იარმუკაზედ მოვაჭრე მეძხვეებს. ეს პირველი მაგალითი არ არის, რომ ამ ბაზარში ნაყიდის ძეხვით ავად გამხდარიყვნენ. არც საკვირველია, რადგან ყოველივე უვარგისი საქონელი აქ გამოაქვთ მეძხვეებს და იაფ ფასად ჰყიდიან ღარიბს ხალხზედ. ბ-ნმა პოლიცმეისტერმა ამ გარემოებას უკვე მიაქცია ყურადღება და ბოქაულებს ბრძანება გასცა, რომ კარგად ადევნეთ თვალყური ბაზარში გასასყიდად გამოტანილს სანოვაგესაო, მაგრამ ძნელად თუ ამ ბრძანების შესრულებას შესძლებენ ბ-ნი ბოქაულები, რადგან სანოვაგის ავკარგიანობის გამოცნობასაც ცოდნა უნდა, ცოდნა არა ბოქაულისებრივი,

*** ნიდერლანდის დესპანი ბ-ნი ბლეი სამშაბათს, ამ თვის 11, ბათუმიდგან ტფილისში ჩამოვიდა და „ლონდონის“ სასტუმროში ჩამოხდა.

*** ამას წინად ტფილისში თავი მოიწამლა ერთმა რუსის არტისტმა ქალმა, გვარად კადმინისამ, რომელიც მონაწილეობას იღებდა სამუსიკო კრუჟოკში გამართულს წარმოდგენებში. ქ-ნი კადმინისა მაშინვე ტფილისის საქალაქო სამკურნალოში წაიყვანეს და ექიმები ამ ქალის გადარჩენას არ იმედოვნებდნენ, რადგან საწამლავი, კარგა ხანია, რაც დაულევიაო. როგორც ეხლა შევიტყეთ, ქ-ნი კადმინისა ამ ჟამად სასიცოცხლოდ გამობრუნებულა, კარგად არის და შეიძლება ჩქარა წამოდგეს კიდეც ფეხზედ.

*** კავკავის გზაზე, როგორც გუშინ დეპეშით იუწყებოდნენ, დიდი თოვლი მოსულა. მლეთსა და ყაზბეგს შუა უკვე მარხილები დადის.

*** რუსეთიდამ ჯერ კიდევ დიდძალი გლეხი ჩამოდის ტფილისში. ჩვენის პოლიცმეისტრის მიერ გამართულ ღამის სათევ თავ-შესაფარში ხომ ალაგი აღარ არის: ოთხივე დიდი დარბაზი გლეხებით არის სავსე. დღისით გლეხები სამუშაოდ მიდიან და ოჯახობა-კი ამ თავ-შესაფარში რჩება, სადაც უფასოდ ეძლევათ სასმელ-საჭმელი. ამათი რიცხვიც თანდათად ჰმატულობს. მაგალითებრ, გუშინ ამ თავშესაფარში უფასოდ ისადილა 245 სულმა, რომელთათვის ყოველ დღე ცამეტს ფუთს პურსა ჰყიდულობენ. ღამ-ღამე-კი ამ თავ-შესაფარში დასაძინებლად სამასს კაცზე მეტი იყრის თავს.

*** „კრუჟოკში“ გუშინ-წინ გამართულს ბალზედ გაყიდულის ტკბილეულობისა დამშეულ გლეხთა სასარგებლოდ სულ 163 მანეთი შემოვიდა, რომელიც უკვე ჩააბარეს ბ-ნს ტფილისის პოლიცმეისტერს.

*** გუშინ, ამ თვის 11, ავლაბარში პოლიციამ შეიპყრო პრუსიის ქვეშევრდომი ვილაცა ანდრეი ვილჰელმის ძე ვესტფალი, რომელიც ციმბირში უნდა გაეგზავნათ, გაექცათ და აქამდე დამალული იყო. ვესტფალი სასამართლომ პრუსიაში გაგზავნა რაღაცა ქურდობისთვის, როგორც იქაური ქვეშევრდომი, მაგრამ პრუსიამ არ მიიღო და შემდეგ სხვა-და-სხვა ავაზაკობისთვის ციმბირი გადაუწყვიტეს.

*** რკინის გზის ევლახის ხიდი მდინარე მტკვარზე ამ თვის ბოლოს იქნება მაზად. ახალის და ძველის გზის შესაერთებლად ერთისა ანუ ორის დღით საქონლის მატარებლები გაჩერებული იქნება. სახალხო და საფოსტო მატარებლები-კი ხიდთან გაჩერდება, მგზავრნი ფეხით გასცდებიან ხიდს და მეორე მატარებელში გადასხდებიან.

*** ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდგან ძმათა წერეთლების წიგნის მაღაზიისაგან 17 მანათი ალ. ყაზბეგის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 283 მან. 50 კ. ამით შესდგა 233 მან. 50 კაპ.

*** ამ წლის 25 სექტემბერს ოზურგეთში დაარსდა „ამხანაგობა თავისუფალ ეტლთა წარმოებისა“. დღეს მივიღეთ ოზურგეთშივე დაბეჭდილი „წესდება ოზურგეთის ამხანაგობის თავისუფალ ეტლთა წარმოების დაარსებისა“. წესდებას წინ რუსულიც მისდევს—„Положеніе объ основаніи озургетскаго товарищества общества вольныхъ экипажей“.

*** ამას წინად სართიჭალის ნაწილის დ. ჰანკრებში, გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ის სიტყვით, თ. ნიკოლოზ ჩოლაყაშვილის ტყეში შემდეგი ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენიათ. სოფ. მარტყოფის მცხოვრებელს დავით მერაბოვს ამ ორის თვის წინად დ. გომბორზედ გაუვლია, ტყესთან რაღაც ხმაურობა შემოსმენია და შემდეგ დაუნახავს, რომ ერთი ვიღაც კაცი ბერძენის ტანისამოს ჩაცმული ფეხით მიათრევს თურმე მეორეს, მოკლულს, ტყეში. როცა სოფელში მივიდა, ეს ამბავი სხვებსაც უამბო თურმე, ილაპარაკეს ამის შესახებ, ილაპარაკეს და დაჩუმდნენ... ეხლა-ხან-კი ამ ამბავმა სართიჭალის ბოქაულის ყურამდეც მიაღწია. მივიდნენ ტყეში

ფელეტონი

ღირსეული ძეგლი

(ვუძღვნი არ. წითლიძეს)

I

სალამო იყო. ერთის პატარა სახლის პატარა ოთახში ნაცვლად დღის სინათლისა უბრალო ლამპარს დარჩენოდა ბურთი და მოედანი. უნდა ვსთქვათ, რომ ლამპრის სინათლე ოთახთან შედარებით ძლიერი იყო, რის გამოც მთელი ოთახი თავისის მოწყობილობითა და სიმდიდრით, თავისის უხერხულობითა და სიღატაკით ადვილად დასათვალიერებელი, ადვილად ასანუსხავი და ადვილად დასაფასები იყო. მაგრამ მე იმ აზრისა ვარ, რომ ოთახის მოწყობილობის და მასში მოთავსებულ ნივთების აღწერასა და ანუსხვას თავი დავანებო და მკითხველის ყურადღება მივაქციო მხოლოდ იმას, თუ რა ადამიანები ცხოვრობდნენ ამ ოთახში. რა საჭიროა, მოვიხსენიოთ, თუ რამდენი ფანჯარა ჰქონდა ოთახს და რა მხრით იყო ეს ფანჯრები გამოჭრილი. ან რა საინტერესოა ვსთქვათ, ფანჯარა ასეთისა და ასეთის ფარდით იყო შემკულიო. ან ის რაში გვეკითხება, თუ როგორი ჭერ-იატაკი ჰქონდა ამ ოთახს. ჩვენ ოთახის მოწყობილობასთან-კი არა გვაქვს საქმე, არამედ ადამიანებთან. დიაღ, ადამიანებთან, რადგანაც დროისა და ჟამის ცვალება, ერისა და ქვეყნის წინ-სვლა, თუ უკან დახევა ადამიანებზედ არის დამოკიდებული. შეიძლება, უბრალო ქოხმახში ისეთი ვინმე სცხოვრობდეს, სულ აღმოსავლეთისაკენ გაიცქირებოდეს, აცა როდის ამოვა ისეთი მზე, რომელმაც ყოველი კაცის გულში თანაბრად ჩააშუქოს, ყოველის კაცის გონება თანაბრად გაათბოს და გაანათოს ღვთიურის ცეცხლითა, რომ ქვეყანაზედ დიდებისაგან პატარაების დაჩაგვრა და გადაყლაპვა მოისპოს, რომ ქვეყანაზედ მშვიდობა, ერთობა, სიყვარული და კაცთა შორის სათნოება დამყარდეს, რომ ძირიან-ფესვიანად ამოვარდეს და განადგურდეს ბოროტი, ღვარძლი და ეკალი, რაიცა ხელს უშლის, რაიცა ეწინააღმდეგება ქვეყნისა და ერის წარმატებასა და წინ-სვლასაო. იმავე დროს შესაძლოა, მდიდრულად მოწყობილსა და ფუფუნებით მორთულს სასახლეში, სადაც ყოველ გვარის ნივთის ნახვა თავისის ძვირფასობითა და იშვიათობით, თავისის სიფაქიზითა და მოხდენილობით განცვიფრებაში მოგიყვანს, სუფევდეს და განისვენებდეს ისეთი ბობოლა, რომ თვალი სულ დასავლეთისკენ ეჭიროს, რომ აცა, როდის ჩავა მზე, როდის დაღამდება, როდის ჩამოაწვება ბნელი უკუნი ქვეყანას, რომ ბნელაში ხელი თავისუფლად ვაფათურო და სხვისდა შეუმჩნეველად წავარჩო ჩემი მსხვერპლიო და სხვა-და-სხვა.

განა ესე ადვილად შესაძლოა, ჩამოვთვალოთ ყოველივე ის, რასაც ქვეყნის ერთგული და მოკეთე ფიქრობს, რასაც ეტრფის, რასაც ეალერსება!.. განა შეიძლება, აღვნუსხოთ ყველა ის საკეთილო და საწადმართო აზრი, რასაც ერის ჭირისა და ლხინის მოზიარე ულოლიავებს, ძიძაობასა და გამდლობას უწევს, რომ ამ რიგად გაზრდილ-გაწვრთვნილი აზრი ქვეყანაში გამოიყვანოს და ერის საკეთილდღეოდ დაატრიალოს!.. იმავე დროს განა შეიძლება ვიანგარიშოთ, თუ რა მურტალი, რა გასაკიცხი ფიქრი და ანგარიში აქვს ქვეყნის იუდას, ერის მოღალატეს და სინათლის მტერსა! განა შეიძლება, იმათს არამზადობას, იმათს გულ-ნამცეცობას, იმათს არა წმინდაობას, იმათს ქვემძრომობას წრე და საზღვარი დავსდოთ!..

სხვებისა რა მოგახსენოთ, ხოლო რაც შემეხება მე, არც ერთი შემიძლია, არც მეორე. ამით იმას-კი არ ვამბობ, რაც მე არ შემიძლია, რაც ჩემს ჭკუა-გონებას ვერ დაუმორჩილებია, სხვებსაც არ შეეძლოს, სხვების ჭკუა-გონებამაც ვერ დაიმორჩილოს-მეთქი. მეცნიერებს ზეცაში ვარსკვლავები გამოუთვლიათ, ზღვაში ქვიშა უანგარიშნიათ და რა საკვირველია, იმათთვის საადვილო საქმე მე დაუძლეველ სიძნელედ მიმაჩნდეს; მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ზეცაში ვარსკვლავების დათვლა და ზღვაში ქვიშის რაოდენობის გამოანგარიშება უფრო ადვილია, ვიდრე ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ აძგერებულის გულის აღწერა; ამასთანავე ეს უფრო ადვილია, ვიდრე აღნუსხვა იმ შავის და უწმინდურის ფიქრებისა, რასაც ქვეყნისა და ერის დამხობის მოწადე თავისს გულში ატარებს.

მაგრამ დავანებოთ თავი ამაებს და ისევ ჩვენს ნაცნობს ოთახს მივუბრუნდეთ.

უკვე ვსთქვით, რომ ოთახი კარგად იყო განათებული; ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ოთახის პატრონი დიდი ქომაგი, დიდი მოსარჩლე და მოკეთე იყო სინათლისა. გიორგი მზიაშვილი ოც-და-ერთის წლისა იყო, როცა ერთს საშუალო სასწავლებელში სწავლა დაამთავრა. მაშინვე სოფლის მასწავლებლად შევიდა და ამ საქმეს დიდის ერთგულობითა და თავ-გამოდებით თხუთმეტის წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ ემსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მხოლოდ დასისხლიანებული ტანისამოსი, ქოლგა, ჯოხი, თასმის ნაჭრები, ბერძნულს ენაზედ დაწერილი დეპეშა და ბარათები-ღა იპოვნეს. ამ ბარათებიდგან აღმოჩნდა, რომ მოკლული ვიღაც კირიაკ ხარლასიმოვი ყოფილა. მოკლულის გვამი აღარსად სჩანდა, ალბად ნადირებმა თუ გაფატრეს. ამ მკვლელობის ბრალსა ჰსდებენ მოკლულის ამხანაგს, ბერძენსავე, და ამ ჟამად გამოძიება სწარმოებს ამ საქმის გამო.

⁂ გაზ. „ტიფ. ლისტ.“-ის სიტყვით, 10 დეკემბერს პოლიციის მე-5 განყოფილებაში, ფრანგების ქუჩაზედ, თავს დასცემია სამი ავაზაკი ამ დროს მიმავალს ვიღაც მეყავახანე გოცირიძეს; ერთს ჯიბიდგან ქისა ამოუცლია, რომელშიაც გაძარცულის სიტყვით, 400 მან. ყოფილა, მეორეს—საათისთვის წაუვლია ხელი. რადგან გოცირიძე გასძალიანებია, ერთს ავაზაკთაგანს რევოლვერი დაუხლია. ტყვია გოცირიძეს მარცხენა გვერდში მოხვედრია, გულს ცოტა ქვემოდ, და იქავე დაცემულა. ავაზაკებს გაუძარცვავთ და გაქცეულან. დაჭრილის კვნესასა და რევოლვერის ხმაზედ პოლიცია მისულა და სისხლის გუბეში მწოლიარე გოცირიძე უნახავს. დაჭრილი მაშინვე საქალაქო ქსენონში გაუგზავნიათ. როგორც ექიმები ამბობენ, დაჭრილი ძნელად თუ გადარჩება. ავაზაკთა აღმოსაჩენად ყოველივე ღონეა ნაღონი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერავინ აღმოუჩენიათ.

⁂ 10 ამ თვისას, ღამის თერთმეტს საათზე, ერევნის ვაჭრის შვილი სტეფანე ჯანიბეგოვი ავლაბრის ხიდიდგან გადავარდა მტკვარში და თავი დაირჩო. გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ და არც თავის დარჩობის მიზეზი იციან.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. წყალტუბო 21 ნოემბერი. ამდენმა წვიმებმა ლამის გული გააწვრილოს, თვალები ჩამოგვიტყაოს და სამუდამოდ კარ-ჩაკეტილში გვამყოფოს. ამისთანა ტაროსში ხომ გარედ ვერ გამოხვალ და თუ გაბედე გასვლა და სადმე გამგზავრება, მაშინ ვაი შენი ბრალი! ჩვენში ისეთი გზებია, რომ ბედაურს არ შეძლიან საძრავი მისცეს ფეხებსა და ისე გაიარ-გამოიაროს, რომ თეძო არ ამოიგდოს, ან ოფლში არ გაიწუროს და სამუდამოდ არ გატყდეს. ნამეტურ სრულიად შეუძლებელია ამისთანა წვიმებში ქუთაისისაკენ გამგზავრება.

ქუთაისსა და წყელტუბოს შუა ერთი შარა გზა მიდის, რომლის აქედ-იქით, მკერდებზედ, ორმოები და თხრილებია დაჭრილი. ამ ორმოებსა და თხრილებში წვიმების დროს უშველებელი წუმპე დგება და ზედ გზაზედ ხომ გაუვალი ტალახის გორებია. აფერუმ მუცელმიმკვდარსა და გამოკანკლულს იმერელს, რომელიც ფარგასავით თხელია და ზოგჯერ ჩვენებური ზენა და ქვენა ქარის ძლიერი ტალღა ნაფოტივით ათამაშებს, რომ ამ ტალახებსა და წუმპეებს უმკლავდება და ამისთანა წვიმებში გაჰბედავს ხოლმე ქუთაისისაკენ გამგზავრებას! მაგრამ ზოგჯერ მუხანათი ბედი ამასაც ჰლალატობს, ტიტველი ფეხი ზედ უცურდება და კისრამდის მორევში ყვრიალს გაადენს ხოლმე. შესაბრალისია მაშინ შეწუხებული, უნუგეშო: საცოდავად დააჭყეტს თვალებს, წყალ დალეულ ქათამისავით მაღლა იხედება, თითქოს ითხოვს ხელსა მხსნელისასა. გაბედავს იქიდგან ამოხოხებას, მაგრამ დალახვროს ღმერთმა იმისი ავად მახსენებელი, ტალახის უშველებელი გუნდა ფეხებში კვლავ ხუმრობით გამოჰკრავს ხოლმე იმერულს კვანტს და გულაღმა ტივივით დაადებს წუმპე-სიბინძურესა. ბოლოს, შეიძლება, როგორმე შემთხვევით სხვა მგზავრიც წამოადგეს, ერთმანეთის დახმარებით და მიშველებით თავს უშველონ; თავიდგან ფეხემამდის ამოსვრილნი, ჰირიან ქათმებივით მხრებ ჩამოყრილები გაუდგებიან ამ ყოვლად გვემულსა და ჯოჯოხეთად გამსკდარს გზას. ამ ყოფაში ვართ დღემდე, მაგრამ, ვგონებ, აწი ჩვენკენაც გადმოიხედოს ბედმა.

ამას წინად „ივერიაში“ კიდეც იყო დაბეჭდილი წყალტუბოდგან გამოგზავნილი წერილი, რომელიც, სხვათა შორის, ამ გზის საქმეს შეეხება. გზა-ტკეცილი უნდა გაიყვანონ ქ. ქუთაისიდგან უგანთლებულების ნ. დადიანის სასახლემდის. ამ გზა-ტკეცილის გაყვანის საქმემ ჩვენში მართლა რამ არა ჩვეულებრივი სიცხოვლე და მოძრაობა გამოიწვია. საზოგადოება ორს უსწორმასწორო, რიცხვით მეტ-ნაკლებ დასად დაიყო. პირველი დასი მოწადინებული იყო, გზა პირ-და-პირ წყალტუბის აბანოების პირებზეც გასულიყო და გვერდი შეევლო წყალტუბოსავე ეკკლესიისა და სკოლისათვის. ხოლო მეორე დასი საზოგადოებისა, რომელსაც შეადგენს წყალტუბის ჩრდილო აღმოსავლეთის მხრივ მდებარე სოფლები, თხოულობდა, რომ გზა-ტკეცილი იმ ძველს შარა გზას გაჰყოლოდა, რომელიც მიიმართება წყალტუბის აღმოსავლეთის საზღვარზედ და მიდის, ეგრედ წოდებულს, კოწოლოურის სიმაღლისაკენ...

თვითეული დასი, რასაკვირველია, სცდილობდა, თავისი გაეყვანა, და ამიტომ ერთმანერთს შორის შური და მტრობა, რომელსაც ისედაც მაგრად აქვს ფესვი გამდგარი იმერეთში და ყოველთვის სასიზღარი და შემარცხვენელია ჩვენი, უფრო განცხოველდა და ხალხი მოუსვენრობასა და მოუთმენელობას იჩენდა. რასაკვირველია, საზოგადოების სიცხოვლე და მოძრაობაში მოყვანა ჩვენ ყოველთვის საგულისხმო და მანუგეშებელ მოვლენად მიგვაჩნია, მაგრამ, თუ მის მიერვე გამოწვეულს აყალ-მაყალსა და უკადრისს სიტყვა-პასუხს აზრიანობისა და საზოგადო სარგებლიანობის მადლი არ ამჩნევია, მაშინ ამ გვარი თვისების მოძრაობას უფრო იჭვის თვალით უნდა შევხედოთ და გავიგოთ კარგიდ, სარჩულად რა დასდებია ამ მოძრაობასა და სიცხოვლეს..

მართლაც, ამ მხრით თუ დავაკვირდებით საქმეს, დავინახავთ, რომ გზა-ტკეცილის გაყვანის საქმეს სიფიცხითა და არა საკადრისის დახედულებით ის ვაჟბატონები ეკიდებიან, რომელთაც არსად და არასოდეს, თავიანთის კერძო რაიმე მავნებელ ინტერესისა გარდა, არასფერი არ ამოქმედებთ. იმათი სურვილი მხოლოდ ის არის, რომ თავიანთი ოდების ან ეზო-გარემოს გვერდზედ გაუაროს გზა-ტკეცილმა, ან ისეთს დასამხარზედ მოხვდეს, საიდგანაც ადვილი იქნება ქუთაისამდის ეტლებითა და ეკიპაჟებით გასეირნება. კარგი დაგემართოთ, კარგი, თვალის მიმზიდველი და მიმტაცი სურვილი ეს იყოს, მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მათი სურვილი ცალიერ სურვილად დარჩა, რადგანაც გზის გაყვანის გეგმა უკვე მოთავებულია, პირ-და-პირ წყალტუბის შუაზედ გასჭრის, გაივლის სოფ. ჩუნეშსა და გაემართება გორდისაკენ. გზის კეთილ-გონიერად წარმართვისათვის მადლობის ღირსია შეგნებული და გავლენიანი ადგილობრივი მემამულე თ. მ. ლ—ძე. ის ახლა იმასაც სცდილობს თურმე, რომ წყალტუბის აღმოსავლეთის საზღვრისაკენაც გაიყვანოს ტოტი და შეუერთოს უმთავრესს გზას, რომლის საშუალებით დანარჩენ ხე-ტყითა და სხვა ნაწარმოებით მდიდარ მკვიდრთაც მიეცემათ თავისუფალი და რიგიანის მსვლელობის სახსარი ქუთაისამდე. თუ ხალხიც მხარს მისცემს ამ სურვილის გამომცხადებელს, მაშინ, უეჭველია, ორივე მხარეც დაკმაყოფილდება. ტოტის გაყვანის საქმეც უბრალო რამ არის და დარწმუნდებიან, რომ აყალ-მაყალი და შურიანობა სრულიად უადგილო და უკადრისი საქციელი ყოფილა...

ეხლა ჩვენი გულ-წრფელი სურვილი და ნატვრა ის-ღა არის, რომ მუშაობა ამ ზამთარშივე დაიწყონ და განაგრძონ კიდეც, რომ შეერთებით ყველამ ერთად სიჩქარით ბოლო მოუღოს გზას, თორემ ახალის გამოზაფხულებისათანავე ჩვენი სოფლის მუშა ხალხი კარ-მიდამოს მიხედ-მოხედავს, ყანების თესვას შეუდგება და მაშინ იმისი მოცდენა და სამუშაოდ გამოწვევა მეტად საგრძნობელი იქნება ხალხისათვის და მისს ჰირნახულისა და მეურნეობის მოსავალს ვნების მეტი არა მიეცემარა.

—ზ

◆

რუსეთი

ჟურნალი „Вѣстн. Финан.“ ამბობს: „რუსეთის სასტატისტიკო კომიტეტის ცნობებიდგანა სჩანს, რომ უკანასკნელ რვა წელის განმავლობაში რუსეთს ყოველ წელს 1,738,771 ათასი ფუთი პური, ქვავი, შვრია, სიმინდი და კართოფილი უნდებოდაო“, ამ ანგარიშშიო—ამბობს ეს ჟურნალი, ის ხორბლეულობაც ურევია, რომელიც შემდეგის წლისთვის შეინახებოდა ხოლმეო. ჟურნალის გამოანგარიშებით, წლევანდელის მოსავლისგან, საზღვარ გარედ გატანილს გარდა, რუსეთში დარჩენილი უნდა იყოს 1,509,341 ათასი ფუთი ყოველგვარი ხორბლეულობა. 1892 წლის 1 ივლისამდე-კი რუსეთისათვის საკმარისია მხოლოდ 1,463,348 ათასი ფუთი. მაშასადამე, „Вѣстн. Фин.“-ის აზრით, წლევანდელი მოსავალი სრულიად საკმარისია ხალხის გამოსაკვებად მომავალ წლის მოსავლამდე და თუ წელს პურის ძვირობააო, დასძენს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ჟურნალი, ეს მხოლოდ იმ გარემოებით აიხსნება, რომ პური ზოგს ალაგას ძლიერ ბევრია გასასყიდად, მუშტარიც ბევრი ეტანება და პური იმიტომ ძვირდებაო, ზოგან-კი ცოტაა და იქაც, რასაკვირველია, ძვირი უნდა იყოსო. ნოემბრის თხუთმეტამდის-კი რუსეთის ბევრს გუბერნიაში პური თან-და-თან იაფდებოდა. ამ გვარად, იმავე ჟურნალის აზრით, ხორბლეულობის საზღვარ გარედ გატანის აღკრძალვამ წელს შესამჩნევი სარგებლობა მოუტანა რუსეთს და თვით რუსეთში იმოდენა პური დარჩა, რომ სრულიად საკმარისია ხალხის გამოსაკვებად.

— „სამარ. გაზეთ-“ში სწერია: „წლეულს სეზონის დაწყებიდამვე ჩვენის თეატრის გალერეაში თითქმის ყველა წარმოდგენაზედ დაიარება დაბადებიდგანვე უსინათლო კაცი, სახელად მათე. ეს კაცი ყმაწვილობიდამვე ისეთს ხალხში სცხოვრობდა, რომლებიც ძლერ ბევრს წიგნებს უკითხავდნენ ხოლმე. უსინათლო მათეს ისე შეუყვარდა წიგნები, რომ

ხურებოდა. გიორგის მეოხებით ბევრი იმის ნაშეგირდალთაგანი კაცად გამოვიდა ქვეყანაზე. ვისაც-კი ცოტაოდენს მადლს ნიჭისას შეამჩნევდა, ყველას გზას უკვლევდა სწავლისა და ცოდნისაკენ. ამ ნაირად მან დიდი პატივ-ცემა და სახელი დაიმსახურა თავისს სოფელში, ასე რომ იმის ავად ხსენებას თვით მტერნიც-კი ვერ ჰბედავდნენ. მართალია, გიორგი თავისის ხასიათითა და მოქმედებით უბრალო მომაკვდავს არა ჰგვანდა, მაგრამ მტრები მაინც ჰყავდა, მტრობდა სოფლის გაიძვერა მამასახლისი, რომელსაც ბეჩავ გლეხების დაბრიყვებასა და დაჩაგვრას გიორგი არ ანებებდა. ჰმტრობდა სოფლის მსუნაგი მწერალი, რომელიც გიორგის შიშით ქრთამის აღებასა და „პადლოგის“ გაკეთებას ვეღარ ახერხებდა. ჰმტრობდნენ სოფლის წუწკი მოსამართლენი, რომელნიც სამართლის უსამართლოდ გადაჭრისათვის არა ერთხელ გაელანძღა გიორგის. ჰმტრობდა სოფლის მუცელღმერთა მღვდელი, რომელსაც გიორგი ეუბნებოდა, რომ მღვდლის დანიშნულება მარტო ალაპსა და ქელეხებში სიარული არ არისო. ჰმტრობდა პოლიციის თვით-ნება ბოქაული, რომლის ყოველგვარს განკარგულებას უთვალ-თვალებდა და დარაჯად უდგა გიორგი, რომ რაიმე კანონის წინააღმდეგი არ გამოატყვრინოს და საზოგადოებას თავს არ მოახვიოსო. დასასრულ მამასახლისისა და ბოქაულის ენა-ტანიობის მეოხებით გიორგის მაზრის უფროსიც ჰმტრობდა და საიჭვო ყოფა-ქცევის კაცად ჰყავდა დასახული.

ამ ნაირად გიორგის, თავის საქმეს გარდა, ბევრი ხათაბალა ჰქონდა თავს მოხვეული; თვალ-ყური ნიადაგ ფრთხილად ეჭირა, რომ რაიმე ხრიკში არ გამაბან ჩემმა მოწინააღმდეგეებმაო. ამასთანავე თითონაც არ სტოვებდა ბრძოლის ველს, იარაღს არ უშვებდა ხელიდგან და, რამდენადაც შეეძლო, მის ცილის-მწამებელთა სიგლახესა და სიწამხდრეს კრიჰაში უდგა.

სოფლის მასწავლებლობა, რომელსაც ჯერ ჩვენში ფასი არ დასდებია, ერთი ძნელი და აუტანელი ხელობაა, ხოლო გიორგი, როგორც ზემოდაც ვსთქვით, მასწავლებლობასთან ერთად ბევრს გულის ჩამთუთქავს უკუღმართობასა და უსამართლობას ებრძოდა. ბოლოს ამ ბრძოლაში დაიღალა, დაიქანცა და მოუძლურდა კიდეც. მკურნალებმა ურჩიეს, თუ გინდა რამდენსამე წელიწადს კიდევ იცოცხლო, მასწავლებლობას თავი დაანებე და აგრეთვე ყოველ-გვარს გონებრივს სამუშაოს მოერიდეო.

II

ზემო აღნიშნულს საღამოს გიორგი მაგიდას უჯდა და ერთს ახალს წიგნს გატაცებით კითხულობდა. იმისი განიერი, დანაოჭებული შუბლი, ჭაღარა თმა და წვერი, გამხდარი პირისახე, მისუსტებული ხმა და ზანტი მოძრაობა ცხადად ჰმოწმობდა იმისს დაქანცულებასა და დაუძლურებას. მხოლოდ პატიოსნებითა და კეთილშობილებით აღსავსე თვალებში კიდევ შენიშნავდით, რომ ამ კაცის გულში ღვთიურის ცეცხლის ნაპერწკალი კიდევ ღვიოდა, რომ ეს კაცი სულით და გონებით ისევ ძლიერი, ისევ გაუტეხელი იყო.

უცებ კარები გაიღო. ერთმა სადად ჩაცმულმა მოხდენილმა მანდილოსანმა გიორგის ჩაი შემოუტანა, მაგრამ, დაინახა თუ არა, რომ ის წიგნს ისე გატაცებით კითხულობდა, შესდგა და საყვედური დაიწყო:

— გიორგი, რატომ არა გრცხვენიან, რატომ ცოტაოდენი შებრალება არ იცი ადამიანისა? შენი თავი თუ არ გეცოდება, ჩვენ მაინც შეგვიბრალე...

გიორგიმ ამ სიტყვებზე თავი მაღლა აიღო, გაიღიმა და საყვედურის მაგიერად ცოლს ასეთი პასუხი მისცა:

— რაო, ჩემო ძვირფასო, შაქარი ხომ არ გამოგელია, რომ ჩაის, შაქრის მაგიერად, საყვედური მოაყოლე?

— არა, მე ხუმრობის ქეიფზე არა ვარ. ხომ იცი წიგნის კითხვა გაწყენს, ამას გარდა, ისიც ხომ იცი, რომ მკურნალმა სკოლაში მეცადინეობა დაგიშალა. რატომ არ გინდა, ერთსაც თავი დაანებო და მეორესაც. ხვალვე დირექტორთან დათხოვნის ქაღალდი გაჰგზავნე, ხვალვე,..

— ეგ არ შეიძლება, ჩემო კარგო!

— არა, რატომ არა გრცხვენიან, რომ კარგსა და ძვირფასს მეძახი, როცა შენს თვალში არავითარი ფასი და სიკეთე აღარა მაქვს.

— მაგას მერე რა საბუთით ამბობ?

— მეტი რაღა საბუთი გნებავთ, თუ-კი რაღმე მაფასებდე და მიგაჩნდე, ჩემის სიყვარულის გულისთვის მაინც რატომ არ გინდა მასწავლებლობას თავი დაანებო. შენ ეგებ ვერ ამჩნევ შენს თავს და მე-კი დღითი-დღე გატყობ, რომ თანდათან ცუდადა ხარ... ფერი აღარ შეგრჩენია და ხორცი.

— ვსთქვათ დაგიჯერე და ერთსაც თავი დავანებე და მეორესაც, მერმე მაგით დაგიმტკიცებ სიყვარულსა და პატივისცემას?

— დიაღაც.

— ვსთქვათ, ასე მოვიქეცი, რამ უნდა გვარჩინოს?

— მაგის ფიქრი ნუ გაქვს, ჩემი მშობლები იმდენად შეძლებულნი არიან, რომ ჩვენისთანაებს-კი არა, ბევრ სხვებსაც შეინახვენ. წავიდეთ

ნაცნობებისა და ბიბლიოთეკიდგან წიგნებს შოულობდა და სხვებს აკითხებდა. ყველაზედ მეტად ამ უსინათლოს ტოლსტოის ფილოსოფია უყვარს. ამას გარდა, წაკითხული აქვს და კარგადაც იცის კონტისა, სპენსერის, შოპენგაუერის, გარტმანის ნაწერები და სხ. ფილოსოფიური წიგნები. აგრეთვე კარგად იცის პოლიტიკური ეკონომია და სულ გადაუკითხავს გამოჩენილი ეკონომისტების: მილლის, მარქსის და ლასსალის თხზულებანი. ლიტერატურაც ძლიერ უყვარს თურმე ამ უსინათლო ფილოსოფოსს. ყველაზედ მეტად ნეკრასოვი მოსწონს და ამ პოეტის ბევრი ლექსიც იცის ზეპირად. ნეკრასოვს შემდეგ დიდს პატივსა სცემს ტოლსტოის, უსპენსკის, შჩედრინს, რეშეტნიკოვს და სხვ. წლეულს ამ კაცს ძლიერ შეუყვარდა თეატრი და თითქმის არც ერთს წარმოდგენას არ აკლდება. განსაკუთრებით ამ თეატრის თაყვანის მცემელს დრამები და ტრაგედიები უყვარს. ძლიერის დრამატიზმით აღსავსე მონოლოგების დროს მათე ყველაზედ ძლიერ უკრავს ტაშს არტისტებსა. ეგრე რა გაღელვებსო, ეუბნებიან ხოლმე თეატრში მყოფნი: შენ ხომ ვერაფერსა ჰხედავო.

— მართალია, მე ვერა ვხედავ არტისტების მოძრაობას და მიმიკასაო, მაგრამ ადამიანის გრძნობის მოძრაობა და მღელვარება ჩემთვის თქვენზედ უფრო თვალ-საჩინო და ადვილი გასაგებიაო, ამაყად უპასუხებს ხოლმე ეს უსინათლო ზოილი.

◆◆

უცხოეთი

რომში მესამე მშვიდობიანობის დასამყარებელი კონგრესი შეიკრიბა. ამ კონგრესს 350 იტალიის სხვა-და-სხვა კუთხიდგან გამოგზავნილი დელეგატი დაესწრო. კონგრესმა ომიანობის წინააღმდეგი მანეფესტი გამოაცხადა, რომლითაც ყველა სახელმწიფოს ურჩევს, ყოველგვარი მათ შორის მომხდარი უთანხმოება სახელმწიფოთა სამედიატორო სამართლით იყოს ხოლმე განსამართლებული და არა ომითა და სისხლის ღვრით.

ომიანობის წინააღმდეგთა და მშვიდობიანობის მომხრეთა დასს ამ დღეებში ერთი საუკეთესო წევრი მოაკლდა: პარიჟში გარდაიცვალა გამოჩენილი საფრანგეთის იურისტი და დაუღალავი ჟურნალ-გაზეთების მშრომელი შარლ ლემონიე, რომელმაც გარიბალდისთან ერთად 1867 წელს ჟენევაში დააარსა საერთაშორისო მშვიდობიანობის საზოგადოება და სიკვდილამდე ამავე საზოგადოების თავსმჯდომარედ იყო. 85 წლის მოხუცი შარლ ლემონიე ერთსა და იმავე დროს მეცნიერი და იურისტიც იყო, მწერალიც, პარიჟის რამდენისამე საფინანსო ამხანაგობების იურისკონსულადაც, ჟურნალ „Revue Philosophique“-ს რედაქტორადაც და ბევრ სხვა-და-სხვა ჟურნალების თანამშრომლადაც.

უკანასკნელს დროს ევროპის ყველა კუთხეში ისმის ხმა ომიანობის წინააღმდეგ. ავსტრიის გამოჩენილმა ჯარა-ექიმმა პროფესორმა ბილროტმა ვენის უნივერსიტეტში ლექცია წაიკითხა იმის შესახებ, რომ ეხლანდელს დროს, როცა თოფ-იარაღი ძლიერ გაუმჯობესდა, ომი სწორედ საშინელს ჟლეტას მოახდენსო. პროფესორი ბილროტი ამბობს, რომ ახლად მოგონილის მანლიხერის თოფით შესაძლოა ერთის ტყვიით სამიოთხი კაცი მოჰკლას მსროლელმაო. წანად ისე ბევრს არა ჰხვდებოდა ტყვია, რადგანაც რაც უნდა იყოს, თოფის წამლის კვამლი მტრებსა ჰფარავდა ერთმანეთს შუა; ეხლა-კი ისეთი თოფის წამალი გამოიგონეს, რომელსაც კვამლი არა აქვს, მეომარნი უფრო უკეთესად ამოიღებენ მიზანში ერთმანეთსა და, რასაკვირველია, უფრო მეტი ხალხი მოკვდება და დაიჭრებაო. შემდეგ ბილროტი ამბობს, რომ ომის დროს მომაკვდავთა და დაჭრილთა საშველად იმდენი მკურნალი და სანიტარი უნდა ვიყოლიოთ, რამდენიც ჯარის კაციაო. ბილროტი მარტო ამ ლექციით არ დაკმაყოფილდა და სიტყვა წარმოსთქვა ავსტრიის დელეგატთა კრებაზე, პარლამენტის კათედრიდგან, რომლიდგანაც მუდამ ის ისმის, რომ რაც შეიძლება მეტი ფული გადავდოთ თოფ-იარაღისა და ზარბაზნებისთვისაო, უცბად და მოულოდნელად მოესმათ ავსტრიელებს ჭკვიანური, მოსაზრებული და კაცთმოყვარეობით გამსჭვალული სიტყვა პროფესორ ბილროტისა. აქაც იმასვე ამტკიცებდა ბილროტი, რასაც უნივერსიტეტში, რომ, თუ სენ-პავასთან მომხდარს ომის დროს 20,000 კაცი მოკვდა და დაიჭრაო, (იმათში ერთმა აფიცერმა თხუთმეტი ჭრილობა მიიღო თურმე) მაშ რაღას უნდა მოველოდდეთ, ეხლა რომ ომი მოხდესო. დასასრულ ბილროტის უთქვამს: „ახალთოფების გამოგონებისათვის და ხალხის ჟლეტვისთვის ფული არა გშურთ და ომში დაჭრილ, განათლებულის ბარბაროსობის მსხვერპლთათვის, საშველად-კი გენანებათო“.

ბილროტის სიტყვამ ძლიერ იმოქმედა დეპუტატთა კრებაზედ; ავსტრიის სამხედრო მინისტრი ბაუერი გადაეხვია ბილროტს და დაჰკოცნა, მაგრამ მეორე დღესვე-კი ბაუერი ამტკიცებდა, რომ თუმცა ბილროტი მართალია, მაგრამ რა უყოთ, ომიანობის დროს, რასაკვირველია, ბევრი უბედურება უნდა მოხდეს, რომლის თავიდგან აცილებაც შეუძლებელი არისო.

◆◆

წვრილი ამბავი

„გავასის სააგენტოს“ სიტყვით უკანასკნელის თოთხმეტის თვის განმავლობაში ბერლინში 62 ყმაწვილს მოუკლავს თავი. ყველაზედ უფროსი თხუთმეტის წლისა არა ყოფილა სრული, ყველაზედ უმცროსი-კი ამათში ჯერ შვიდის წლისაც არ შესრულებულა.

— ბერლინში ერთს გადიას უსუსური ბავშვი მოუწამლავს თურმე დარიშხანით. როცა უკითხავთ, რამ გაიძულა საცოდავის ბავშვის მოწამლვაო, ასე უთქვამს, მე თითონ მინდოდა თავის მოწამლვა და ჯერ მაგ ყმაწვილზედ გცადე დარიშხანის ძალაო.

— ფრანკფურტში (მაინზე) სცხოვრობს ერთი ზანგი, სახელად ვიტრეო. ვიტრეო იმითი შოულობს ცხოვრების სახსარს, რომ დუქან-დუქან დაიარება და მაყურებლების თვალ-წინ ჰყლაპავს ხოლმე ჭიქებს, თიხის წვრილს ჭურჭელს, დანებს, ჩანგლებს და სხ. 23 ნოემბერს ეს ზანგი ერთს დუქანში შესულა და ლაზათიანად დამთვრალა. რადგანაც ვიტრეოს დუქნის პატრონი იცნობდა, ფულის მაგიერად მოსთხოვა, შენი ხელოვნება გვიჩვენეო. ვიტრეოს ეს არაფრად ეწყინა და დუქნის პატრონს ზუნცელს მივარდა საცემრად. გაბრაზებული ზანგი თორმეტმა კაცმა ძლივს შეიმაგრა თურმე. ვიტრეოს ხელ-ფეხი შეუკრეს თოკით, მაგრამ მოთმინება დაკარგულმა ზანგმა კბილებით დაღრჩნა თოკები და დაერია იქ მყოფს ხალხსა. ჭირვეული ზანგი იმდენმა ხალხმა ძლივს-ძლიობით დააშოშმინა.

— პარიჟის კომიკურ ოპერის თეატრში ამ დღეებში, წარმოდგენის დროს, ერთი კაცი ქანდარიდგან გადმოვარდნილა და თავის ქალა გასხეთქია. მომაკვდავი „Hotel Dieu“-ში წაიღეს თურმე. ჯერ არავინ იცის, უცაბედი შემთხვევაა ეს უბედურება, თუ თავის მოკვლის განზრახვა.

— მოხუცი გლადსტონი, თუმცა 82 წლისაა, მაგრამ ჯერ ისევ ყოჩაღი და მარდი ყოფილა. აი რასა სწერენ გლადსტონის შესახებ გაზეთები: გლადსტონი და ერთი იმის მეგობარი მოხუცებული მინისტრის შვილთან წასულან თურმე სახლში, რომელიც ბაღშია აშენებული. ბაღის კარი დაკეტილი დახვედრიათ. გლადსტონს ბევრი არ უფიქრია, მარდად ასულა ალაყაფის კარებზე, ბაღში გადამხტარა და კარი გაუღია ამ სიმარდით გაოცებულის მეგობრისთვის.

— ახირებული ქადაგება. „Manchster Examiner“-ის კორესპონდენტი სწერს, რომ ერთს ეკკლესიაში პასტორმა ტინდალმა შემდეგი ახირებული ქადაგება წარმოსთქვაო. პასტორს ქადაგების საგნად აელო მაცდურის გველის ამბავი, რომელმაც ევა შეაცდინა სამოთხეში, და შემდეგ სულ გველზედ ლაპარაკობდა. როცა ტინდალმა იმაზედ დაიწყო ლაპარაკი, თუ როგორ გამოეცხადა აარონი ეგვიპტის ფარაონს, იმის წინ თავისი კვერთხი გადააგდო და ეს კვერთხი გველად იქცა, პასტორმა თვითონაც თავისი ჯოხი დააგდო ისტაკზედ. განცვიფრებულმა ეკკლესიაში მდგომმა ხალხმა დაინახა, რომ პასტორის ჯოხიც უშველებელ გველად გარდაიქცა. პასტორმა ეს გველი უშიშრად ხელში აიყვანა. თუმცა, რასაკვირველია, ეს გველი ნამდვილი არ იყო, მაგრამ ხალხს ისე შეეშინდა, რომ მაშინვე გაქცევა დააპირა, მაგრამ ეკკლესიის კარები დაკეტილი დახვდათ. შემდეგ პასტორი იმაზედ გადავიდა, რომ ღოთობა ძლიერ მავნებელია ადამიანისთვისაო. ეს კარგად იცოდეთო, განაგრძო პასტორმა: რომ იმ ღვინოში, რომელსაც თქვენ დუქნებში სვამთ, მუდამ გველი არის ხოლმეო. ამის დასამტკიცებლად პასტორმა ღვინით სავსე ჭიქა დასდგა სტოლზე, მერე წუმწუმა აანთო და ვითომ-და ჭიქას ცეცხლი მოუკიდა. იმ წამსვე ჭიქიდგან ამოძვრა გრძელი გველი, რომელიც, თითქოს ცოცხალიაო, ისე იკლაკნებოდა. „როცა ღოთობა მოგინდეთ, ეს გველი გაიხსენეთ ხოლმეო“, დაასრულა ქადაგება თვალთ-მაქცმა პასტორმა.

◆◆

წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით ამასთანავე 40 მან. 15 კ., ჩვენგან შეკრებილს ქ. სიღნაღში განსვენებულის ჩვენის პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ფონდის სასარგებლოდ, უმორჩილესად გთხოვთ, ეს ფული მოისმაროთ დანიშნულებისამებრ და დაბეჭდოთ ამასთანავე წარმოგზავნილი შემომწირველთა სიაც: თავადი ილია აფხაზი 3 მან. თავ. ნიკოლოზ აფხაზი 1 მან., თავ. იოსებ რევაზის ძე ბებურო ვაჩნაძე 2 მან., გ. შანშიევი 1 მან., მღვდელი ალექსანდრე ეპიტოვი 1 მან., თავ. ივანე ილიას ძე აფხაზი 1 მან., ივ. დ. ქიტიაშვილი 1 მან., თავ კონსტანტინე ჯორჯაძე 1 მან., თავ. კიკო ვაჩნაძე 1 მან.. თავ. ლევან აფხაზი 20 კაპ. თავ. მიშო რევაზის ძე ვაჩნაძე 3 მან., თავ. გიორგი აბაშიძე 50 კ. რობიტოვი 50 კ. ზაქარია ნაცვალოვი 1 მან., როსტომ ავალიანი 50 კ., ყულიჯანოვი 50 კ., გ. ბაღაევი 1 მ., ი. ზ. ხიმშიევი 1 მ., არქიმანდრიტი ევსტრატი 1 მ., თედო ს. რაღიძე 50 კ., ევგენ ჯანიკოვი 20 კ., სოსიკო ზალდასტანოვი 20 კ., მიხეილ ქალანთაროვი 1 მან. აზ. ვანო ნასიძე 50 კ., ნ. ხელაევი 1 მან., პეტრე გამრეკელი 50 კაპ., გიორგი დანიელის ძე ჭრელაშვილი 1 მან., ლუკა ზაქარიას ძე მოსულოვი 1 მან., დავით პეტრიევი 30 კაპ., სოფ. ყანდაურის მამასახლისი ვანკა ჯავახიშვილი 30 კაპ., იოსებ ბესარიონის ძე კაპანა-

---

იქ, იქნება ადგილისა და ჰაერის გამოცვლამაც გარგოს.

— მე ეგ არ შემიძლიან

— მიზეზი?

— ეგ მე ვიცი და კარგადაც ვიცი.

— მეც მინდა ვიცოდე.

— შენც? რომ არ გაიგებდე, უკეთესია, მერწმუნე, უკეთესია.

— ალბად ძალიან ფუქსავატი და უმიზეზო მიზეზია შენი მიზეზი, რომ არ მეუბნები.

— არა, ღმერთმანი!

— მაშ სთქვი რაღა!

— კარგი, გეტყვი, მაგრამ მშვიდად მოისმინე, შენებურად თავზე ცეცხლს ნუ წაიკიდებ. თქვენსას ვერას გზით ვერ წამოვალ, ვერ წამოვალ, რადგანაც მესირცხვილება და მეთაკილება, რომ ცოცხალი კაცი ბარგი გავხდე ვისმესი. ამას გარდა, მასწავლებლობასაც ვერ დავანებებ თავს. ჩემი სული და გული მაგ საქმეშია ჩაქსოვილი. რა დღესაც მასწავლებლად არ ვიქნები, იმ დღეს, იცოდე, მკვდარი ვარ. ესეც რომ არ იყოს, რა გული მიზამს ეხლა, სკოლის მიტოვებას. ეს ბრძოლის ველიდგან გაქცევა იქნება, რითაც ბოქაულსა და მამასახლისს სატრაბახო მასალას მივსცემ ხელში, ჩვენ გავაგდეთ, საქმე გავუჭირეთ და მეტი რა ღონე ჰქონდა, რომ ბარგი-ბარხანა არ აეკრიფა აქედგანაო.

— მაშ მე კარგად მითქვამს, რომ აღარაფრად მიგაჩნივარ-მეთქი; შენი სული და გული მე აღარ მკუთნებია... არა, რად მატყუილებდი „მიყვარხარო!“ ეგ არის სიყვარული?!

— მერწმუნე, რომ მიყვარდი და ამ სიყვარულს დღემდე ისევ წმინდად ვატარებ...

— კმარა,—გააწყვეტინა ცოლმა: ეგ ხომ ლიტონი სიტყვებია, რომელსაც ვერაფრით ასაბუთებ.

— რით გინდა, დავასაბუთო.

— როგორ თუ რით? სიყვარული რის სიყვარულია, თუ საყვარლის გულისთვის ვერაფერს გასწირავ, ვერაფერს დასთმობ? მე ისე მესმის სიყვარული, რომ ყველაფერი იმას უნდა ანაცვალო: სკოლაც, წიგნებიც და ისიც, რაღაც ბრძოლის ველს რომ ასახელებ.

— შემცდარი ყოფილხარ; რაც შემეხება მე, ღმერთმა დამიხსნას მაგეთის სიყვარულისაგან! მე შენ მიყვარხარ, როგორც მეგობარი, ცხოვრების თანამოგზაური...

— არა, რაღას აჭიანურებ,—შეუტია გაკაპასებულმა ცოლმა,—გადაჭრით სთქვი და გაათავე, რომ სკოლა და წიგნები ჩემზე მეტად გიყვარს.

— გადაჭრით ვამბობ.

— მაშ ისიც სთქვი, რომ უჩემოდ შეგიძლია ცხოვრება და უსკოლოდ და უწიგნოდ-კი არა!

— მაგასაც ვიტყვი. რა ერთმანეთის ბადალი და სამაგიერო ხართ. სკოლა, ხალხის მასწავლებლობა—ეგ ჩემი სიცოცხლის საგანია. წიგნები ამ საგნის მისაღწევი და ხელ-მძღვანელი მასალაა, ხოლო შენ-კი ჩემი მეგობარი ხარ. ჩვენ ორნივე ერთს საგანს უნდა ვემსახუროთ, თუ, რასაკვირველია, ჩემს მეგობრობასა და მეუღლეობაზე ხელი არ აგიღია.

— მე-კი იმ აზრისა ვარ, რომ ჩვენი სიცოცხლის საგანი მარტო ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა უნდა იყოს.

— მართალია, უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, რათა ამ სიყვარულითა და თანხმობით ცხოვრების სასურველს საგანს მივაღწიოთ. ხოლო მარტო სიყვარული რომ გავიხადოთ ცხოვრების საგნად და ამაზე უმაღლესი და უწმინდესი ვერა ვიპოვოთ-რა, ეს მეტის მეტი სისულელე, დიდი დაქვეითება იქნება ადამიანის გრძნობა-გონებისა. განა შენ ჩემთვის გაიზარდე და დაიბადე და მე შენთვის? არა, ჩვენ ორნივენი ქვეყნისათვის დავიბადეთ და, თუ შევამხანაგდით, იმიტომ რომ შეერთებულის ძალით უფრო მეტი სამსახური გავუწიოთ ქვეყანას.

— მაშ რატომ არის ნათქვამი „სიყვარული აგვამაღლებს“-ო?

— ეს ცალკე ქალისა თუ კაცის სიყვარულზე-კი არ არის ნათქვამი, არამედ საზოგადოდ ქვეყნისა და ერის სიყვარულზე. ამ გვარი სიყვარული სწორედ რომ აღგვამაღლებს, ხოლო შენ რომ სიყვარულს ამბობ, ის დაწვრილმანებული სიყვარულია, რომელიც აღგვამაღლებს-კი არა, დაგვამდაბლებს, დაგვაქვეითებს და გაგვათახსირებს.

— რაც უნდა იყოს, მე მაინც ამ გვარს სიყვარულს ვეძებდი.

— ვსწუხვარ, რომ შემცდარხარ·

— მეც ვსწუხვარ, რომ შემცდარხარ და ისეთი თანამგზავრი ვერ გიშოვნია ცხოვრებაში, როგორსაც შენ ეძებდი.

— რა გაეწყობა!

— ის გაეწყობა, რომ მე ჩემი სურვილი სიყვარული ვეძებო, ვიდრე დრო მაქვს და ახალ-გაზდა ვარ. ვგონებ, შენც მოასწრობ, შენი სასურველი ცხოვრების თანამგზავრი იპოვო.

— გადაჭრით ამბობ?

— რასაკვირველია, გადაჭრით ვამბობ, „გაქცეულს გატეხილი სჯობია“.

— მაშ მშვიდობით!

— მშვიდობით! ნახვამდის-მეთქი ხომ ვერ გეტყვი.

— ხვალვე ვიქირავებ ურემს და შენს ბარგს წაალებინებ.

— ნუ სწუხდებით, ეგ უშენოდაც შეიძლება მოხერხდეს.

ამ სიტყვებზე ქალი მიტრიალდა, კარი გაალო და გავიდა.

(შემდეგი იქნება)

ძე 50 კაპ., დიმიტრი ლევანის ძე ზალდასტანოვი 20 კაპ., ალ. ჩასნაევი 1 მან., გ. ჰაიჭაძე 1 მან., ბლაღოჩინ-დეკანოზი სიმონ ბენაევი 1 მან., მღვდელი მიხეილ ბარნაბოვი 20 კაპ., მღვდელი ალექსი ყანდარელოვი 20 კაპ., კოპაძე 50 კაპ., მღვდელი იოანე ხატიევი 1 მან., მღვდელი მიხეილ ტაბატაძე 20 კაპ., მღვდელი იოანე გუგუტოვი 10 კაპ., მღვდელი სიმონ შანშიევი 50 კ., მღვდელი იოსებ ტუტუშოვი 50 კაპ., დავით ჯალიევი 20 კაპ., მღვდელი იოანე ბალარჯოვი 10 კ., მღვდელი იაკობ ჩასნაევი 20 კ., პრიჩეტნიკი ანდრია ჯამასპოვი 20 კ., ნიკო მენთეშაშვილი 20 კ., პ. ცხვილოელი 1 მან., მღვდელი სვირიდონ კობიევი 20 კ., მღვ. სოლომონ ბერიტოვი 30 კ., მღვდელი ილარიონ კობიევი 20 კ. მღვდელი დავით სართანიძე 20 კ., მღვდელი იოსებ შიშნიევი 20 კ., ვლადიმერ ჯანიკოვი 40 კ. გიორგი ტყავაძე 50 კ., ა. ბარნაბიშვილი 50 კ., მღუდ. დ. ნადაევი 20 კ., დიაკონი გრიგოლ კახიძე 20 კ., სოლომონ ნასიძე 60 კ. და პრიჩეტნიკი ზაქარია ქუმსიევი 15 კ.

ივანე დიმიტრის ძე ქიტიაშვილი

დეპეშა

8 დეკემბერი

პეტერბურგი. საფრანგეთსა და ბოლგარიას შორის მომხდარ უთანხმოების შესახებ სწერს „Journal de st-Peterbourg“-ი, ბოლგარიის მთავრობას სრულიად არ მიუმართავს საფრანგეთის სადიპლომატო აგენტისათვის „Гаваса“-ს სააგენტოს კორესპონდენტის განდევნამდე და ეს ამბავი პირდაპირ დარღვევაა კაპიტულიაციისაო.

რომი. დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე მიბრძანდა მეფესთან და მარკიზ დი რუდინისთან; ათინაში მიემგზავრება. მეფე დარბაზად ბრძანდებოდა დიდს მთავართან.

პარიჟი. პალატამ დაამტკიცა პროექტი შემცირებულის ტარიფისა. სამინისტროს იმედი აქვს, შემოიღოს ეს ტარიფი ჰოლლანდიისა, ბელგიისა, შვეიცარიისა, შვეციისა და, იქნება, ისპანიისათვისაც.

პეტერბურგის ბირჟა, 10 დეკემბერი

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	8, 09	8, 12	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	162	163	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1, 19	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	239¾
—მეორისა	220½	— ,,	— ,,
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . . , .	199	— ,,	201¾
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:	— ,,	— ,,	— ,,
6%.	— ,,	— ,,	— ,,
5%.	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა . .	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის **კვირაობით** და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის სააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.

განცხადებანი

საეკლესიურისათვის

სუნნელოვანი

ათონის საკმეველი

(ახალთ-ახალი)

გირვანქა 1 მ. ➅ 35 კ. ისყიდება

რ. კელერთან და **ამხ.**

მოსკოვში, ნიკოლსკის ქუჩაზე,

ისყიდება აგრეთვე ყველგან, საუკეთესო მაღაზიებში (5—0—4)

ტფილისის ნერსესიანთა სასულიერო სემინარიის სამზრუნველოში

18 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა (გაგანუმეორებლად) იჯარით გასაცემად ერთის დუქნისა ერთის ოთახით, რომელიც იმყოფება თელეთის სომეხთა ეკკლესიასთან. პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოში, ყოველ დღე, დილის 11—12 საათზე, კვირა-უქმეების გარდა.

(3—2)

ისყიდება

„ბაქოს მოავეჯებულს ოთახებში“

ახლად მოყვანანილი ტიროლის და სხვ. კარგად მგალობელი კანარეიკები.

(3—2)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

	მან.	კაპ.
ბნელო, მოთხრ. ნ. მელანიასი	„	40
ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . .	„	40
თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. .	1	20
იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე	2	50
სამივე ტომი. . . .	7	„
სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა	1	20
თხზულებანი ი. დავითაშვილისა	„	80
მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა	„	20
წყალობა პოემა მისივე .	„	20
სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა	„	25
თამარ, სპარსული ლეგენდა	„	10
დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა.	„	15
ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. .	„	50
სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . .	„	30
ნაქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა	„	50
თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა .	1	„
კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე	„	20
პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე .	„	50
საყმაწვილო ამბები მისივე	„	40
ძმური სიტყვა, დ. მაჩხანელისა, მეორე გამოცემა.	„	25
თამარიანი ლექსად ს. გუგუნავასი	„	50
თამარიანი ლექსად რ. ერისთავისა	„	60
თხზულ. რაფ. ერისთავისა II ნაწ.	„	40
ჰამლეტი. თარ. ინგლ. მაჩაბლისა	„	30
ოტელლო, თარგმანი ინგლისურიდამ მისივე. . .	„	50
ძუნწი, საყმ წ. სურათ. წიგნი შ. მღვიმელისა .	„	15
მეფე ლირი შექსპირისა, თარგმანი ი. ჭავჭავაძასა და ი. მაჩაბლისა . . .	„	60
საქართველოს მოკლე ისტორია მ. ჯანაშვილისა	1	60
საეკკლესიო ისტორია მისივე	„	45
იავნანამ რა ჰქნა? სმყმაწვილო მოთხრობა ი. გოგებაშვილისა. . . .	„	10
საზოგადო მიწათ მოქმედება, თხზ. მ. ზაალიშვილისა.	„	20
საზოგადო ზოოტესნია ანუ საქონლის მოვლა-მოშენება მისივე . . .	„	25

ქ. ტფილისში

ახლად მივიღეთ ქალისა და კაცის ევროპიულისა და ქართულის ტანისამოსისათვის **კავკასისა** და **ქუთაისის** ხელოვნების

შალ-აბრეშუმი

და წმინდა შალები საინტერესო ფერებისა.

არწრუნისეული ქარვასლა, მარცხნივ გალერეაში, № 114.

საქონელი უფრო იაფად ისყიდება, ვიდრე სხვაგან. შამკერავიც იქვე ახლოა იშოვება ყველანაირი.

(3—3) თავადი დ. ლორთქიფანიძე

„სარპინის ნაქსოვთა სამრეწველო ამხანაგობა“ სარატოვში

სეზონი 1892 წლისა—სარპინკა—სეზონი 1892 წლისა

ხელის საფეიქროსი, საკუთრად ამ ამხანაგობის ნაკეთობა პარიჟის უკანასკნელ მოდის ნიმუშების თანახმად.

ახალი—„**სარპინკა-რელიეფი**“—ნაქსოვი

ისყიდება მთელის ცალობითა და ადლობით, იგზვნება რუსეთის ყოველს ქალაქში. ნიმუშები საუცხოო ალბომით გაეგზავნება ყველას, ვინც 42 კაპ. წარმოადგენს ფოსტის მარკებით; მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ უნდა იყოს.

ადრესი: *Саратовъ—Товариществу Сарпинокъ.*

(10—4)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელები, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ:

დედა-ენა, მეორე შევსებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური; ყდით ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცდა ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად, ხოლო ყდით 33 კაპაიკად.

ბუნების კარი, უკანასკნელი გამოცემა, ფასი თხუთმეტი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცს იყიდის, მას ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს,—სამ აბაზად: ყდისათვის წიგნზედ დაემატება სამი შაური.

Русское Слово, ნაწილი პირველი, მესამე შევსებული გამოცემა, ფასი ექვსი შაური, ყდით ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოცდა ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად, ხოლო ყდით 33 კაპეიკად.

Русское Слово, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, ფასი ორი აბაზი, ყდით ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, იმას წიგნი დაეთმობა 32 კაპეიკად, ხოლო ყდითორ აბაზად.

Руководство для учителей и учительницъ къ преподаванію по „Русскому Слову“, ფასი ათი შაური, ყდით სამი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ხუთის ცალისა, მას თვითო წიგნი დაეთმობა ცხრა შაურად, ვინც იყიდის ათსა ან მეტსა, იმას მიეცემა ორ აბაზად, ყდით ათ შაურად.

კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ფასი ორი შაური, ვინც იყიდის ერთად ათობით, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც ასობით, იმას მიეცემა რვა კაპეიკად.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12	თთვით. . .	10 მ.—კ.	6	თთვით . . .	6 მ.—კ.
11	,, . . .	9 ,, 50,,	5	,, . . .	5 ,, 50,,
10	,, . . .	8 ,, 75,,	4	,, . . .	4 ,, 75,,
9	,, . . .	8 ,, —,,	3	,, . . .	3 ,, 50,,
8	,, . . .	7 ,, 25,,	2	,, . . .	2 ,, 75,,
7	,, . . .	6 ,, 50,,	1	,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 11-го Декабря 1891 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.